ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2017 წლის 19 ივნისი

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში (www. matsne. gov.ge), 16/ 05/ 2017, 010250050.35.158.016342) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო”.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის პირველი მუხლის მეორე პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**